საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სამართლი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	რეგულირებადი
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის ბაკალავრი (0421)
ინგლისურად:	Bachelor of Law (0421)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	07.08.2009----------
პროგრამის განახლების თარიღი	----------
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო 160 ECTS კრედიტი და არჩევითი კომპონენტი 20 ECTS კრედიტი. სპეციალობის ძირითადი სწავლის სფეროა 155 ECTS კრედიტი და არჩევითი 25 ECTS კრედიტი .

№	მოდული	საერთო ECTS	სავალდებულო კომპონენტი	არჩევითიკომპონენტი
1	სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული	10 ECTS	10 ECTS	
2	პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული	15 ECTS	10 ECTS	5 ECTS
3	საჯარო სამართლის მოდული	30 ECTS	30 ECTS	----------
4	კერძო სამართლის მოდული	50 ECTS	50 ECTS	----------
5	სისხლის სამართლის მოდული	25 ECTS	25 ECTS	----------

6	საერთაშორისო სამართლის მოდული	15 ECTS	15 ECTS	----------
7	არჩევითი სამართლებრივი სპეციალიზაციის მოდული	10 ECTS		10 ECTS
8	პრაქტიკული უნარების მოდული	10 ECTS	5 ECTS	5 ECTS
9	ინგლისური ენის მოდული	15 ECTS	15 ECTS	----------

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამაზე სწავლის მსურველმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი უცხო ენა: ინგლისური ენა, ან რუსული ენა, ან ფრანგული ენა, ან გერმანული ენა.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: • უზრუნველყოს სტუდენტებისთვის სამართლის სისტემის, მისი ძირითადი პრინციპების, წყაროებისა და დარგების შესახებ საფუძვლიანი და სისტემური ცოდნის მიღება, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. • განავითაროს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნება, სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების უნარი, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტის კომპეტენცია. • ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, კრიტიკული შეფასებისა და ეფექტიანად გამოყენების უნარი, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების გამოყენებით. • განუვითაროს სამართლებრივი წერისა და კომუნიკაციის უნარები, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა. • უზრუნველყოს სტუდენტების მიერ თანამედროვე ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების უნარის განვითარება სამართლებრივი საქმიანობის პროცესში, პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვით. • ჩამოუყალიბოს პროფესიული ეთიკის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული ღირებულებები და პასუხისმგებლიანი პროფესიული ქცევის უნარი. • განუვითაროს სტუდენტებს დამოუკიდებელი სწავლის, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და სამართლებრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარი.
პროგრამის სწავლის შედეგები	**A. ცოდნა და გაცნობიერება** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: A.1. განმარტავს სამართლის სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და დარგებს, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის

	ფუნდამენტურ თეორიებსა და რეგულირების თავისებურებებს, და კრიტიკულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და როლს სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში. A.2. აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და მექანიზმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის თავისებურებებს, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს. A.3. განმარტავს სამართლის ნორმის გამოყენების მექანიზმებს, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების ლოგიკას, სამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებსა და მათი სამართლებრივი გზით გადაწყვეტის ძირითად პრინციპებს. **B. უნარი** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: B.1. ამოიცნობს და აანალიზებს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს სამართლებრივად დასაბუთებულ გადაწყვეტის გზებს. B.2. მოიძიებს, არჩევს და აანალიზებს სამართლებრივ ინფორმაციას, მათ შორის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებს, და ეფექტიანად იყენებს მათ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. B.3. ამზადებს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის საპროცესო დოკუმენტებს, სამართლებრივ დასკვნებსა და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების დაცვით. B.4. აყალიბებს და წარმოადგენს სამართლებრივ პოზიციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, შესაბამისი იურიდიული ტერმინოლოგიისა და არგუმენტაციის გამოყენებით, ასევე ეფექტიანად მონაწილეობს პროფესიულ კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობაში. B.5. იყენებს თანამედროვე ციფრულ და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვით. **C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: C.1. მოქმედებს პროფესიული და აკადემიური ეთიკის, სამართლებრივი სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების შესაბამისად, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობისა და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით, და აცნობიერებს იურისტის როლს სამართლებრივი წესრიგისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაში. C.2. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს, განსაზღვრავს ცოდნის განახლების საჭიროებებს, ადევნებს თვალს სამართლებრივ სიახლეებს და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე.
დასაქმების სფეროები	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საკონსულტაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციული მიმართულებით საქმიანობის განმახორციელებელ პოზიციებზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი პროფესიული წინაპირობები.
	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება ეფუძნება სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ სწავლა-სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, აქტიური ჩართულობისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს.
სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, მიზნებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მიდგომები ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენაზე, არამედ პრაქტიკული, ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარების განვითარებაზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ერთობლიობა ხელს უწყობს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესი ასევე მიმართულია სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის, გუნდური თანამშრომლობის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისკენ.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განხორციელებისას გამოიყენება სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, სიმულაციური აქტივობა, კლინიკური სწავლება, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება და სხვა.
პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

- **ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ლექციის, ახსნა-განმარტებისა და აკადემიური მსჯელობის ფორმით სტუდენტისთვის თეორიული მასალის მიწოდება;
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – სამართლებრივი ცნებების, ინსტიტუტების, ნორმებისა და პრინციპების შინაარსის განმარტება, თეორიული და პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით;
- **დისკუსიისა და დებატების მეთოდი** – სამართლებრივ საკითხებზე სტუდენტთა ჩართულობის, კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობისა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენის უნარის განვითარების მიზნით;
- **შემთხვევის ანალიზის მეთოდი** – კონკრეტული სამართლებრივი კაზუსების განხილვა, სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენება;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი საკითხების ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტა;
- **სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის მეთოდი** – სამართლებრივი ნორმების შინაარსის, მიზნისა და სისტემური კავშირის განმარტება და მათი პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- **სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდი** – ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების განხილვა და სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- **შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი მიდგომების შედარება და შეფასება;
- **ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სამართლებრივი ინსტიტუტების, წყაროებისა და სამართლის განვითარების ისტორიული საფუძვლების შესწავლა და ანალიზი;

- **კვლევითი მეთოდი** – სამართლებრივი პრობლემების შესწავლა, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- **წერითი მუშაობის მეთოდი** – კაზუსების, სამართლებრივი დასკვნების, ანალიტიკური ნაშრომების, მემორანდუმებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- **პრეზენტაციის მეთოდი** – სამართლებრივი საკითხების ზეპირი წარმოდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა და დისკუსიაში მონაწილეობა;
- **თანამშრომლობითი (ჯგუფური) სწავლების მეთოდი** – სტუდენტთა ჯგუფური მუშაობა, სამართლებრივი საკითხების ერთობლივი განხილვა და არგუმენტირებული პოზიციების გაზიარება;
- **გონებრივი იერიშის მეთოდი** – კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით იდეებისა და მოსაზრებების თავისუფალი გენერირება;
- **ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი** (მოსაზრება – მიზეზი – მაგალითი – შეჯამება) – არგუმენტირებული, თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობის განვითარების მიზნით;
- **როლური თამაშისა და სიმულაციური სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი სიტუაციების მოდელირება და პროფესიული უნარების განვითარება;
- **იმიტირებული სასამართლო პროცესის მეთოდი** – სასამართლო პროცესის სიმულაციის გზით სამართლებრივი არგუმენტაციის, ზეპირი გამოსვლისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- **პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – ინდივიდუალური ან ჯგუფური სამართლებრივი პროექტების განხორციელება;
- **ელექტრონული სწავლების მეთოდი** – ელექტრონული სასწავლო რესურსების, სამართლებრივი მონაცემთა ბაზებისა და სასწავლო პლატფორმების გამოყენება;
- **დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი** – კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, დოქტრინული წყაროებისა და სხვა სასწავლო მასალის დამოუკიდებლად მოძიება, დამუშავება და ანალიზი.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის ანოტაცია	სავალდებულო/არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი მოიცავს ქართული ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, რომელიც შეეხება: ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპებს, ნორმათა დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებს; სტილისტიკის საფუძლებს, სტილური თავისებურებების პრობლემატიკას კომუნიკაციის პროცესში; ასევე, ტერმინთშემოქმედების თავისებურებებს, სახელმწიფო ენის თანამედროვე მეთოდებით კვლევის გამოწვევებსა და მნიშვენლობას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
აკადემიური წერა	სასწავლო კურსი აკადემიური წერა სტუდენტებისთვის აკადემიური ნაშრომის მოსამზადებლად აუცილებელი საბაზისო ცოდნისა და უნარების გაზიარებას გულისხმობს. კურსი მოიცავს აკადემიური წერის ძირითად ელემენტებს და პრინციპებს თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. სტუდენტები გაეცნობიან აკადემიური წერის არსსა და საჭიროებას, აკადემიური ნაშრომების ტიპებს; შეისწავლიან აკადემიური ტექსტის შექმნას და მის აგებულებას: სტრუქტურულ ელემენტებს, ფორმატს, სტანდარტებს. განხილული იქნება აკადემიური ნაშრომის ძირითადი არგუმენტის შეკვირისა და აბზაცის აგების პრინციპები, აგრეთვე არგუმენტირებული ნაშრომის წერის სპეციფიკა. ყურადღება გამახვილდება აკადემიური სტილის დაცვის აუცილებლობასა და წყაროების მითითების	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II

	სტანდარტებზე, ასევე ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების ეთიკურ გამოყენებაზე.			
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს თანამედროვე საოფისე კომპიუტერული პროგრამებისა და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების ძირითად პრინციპებს. კურსის ფარგლებში შეისწავლება ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, ღრუბლოვანი სერვისები, ელექტრონული დოკუმენტების მომზადება და ფორმატირება, პრეზენტაციების შექმნა, ინფორმაციის ორგანიზება და წარდგენა. სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტებში პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაზე და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებაზე.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
საკომუნიკაციო და საჯარო გამოსვლისუნარები იურისტებისათვის	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს კომუნიკაციის, ეფექტიანი ურთიერთობისა და საჯარო გამოსვლის ძირითად პრინციპებს. კურსის ფარგლებში განიხილება სხვადასხვა აუდიტორიასთან კომუნიკაციის თავისებურებები, კლიენტთან ურთიერთობის ძირითადი მიდგომები, აქტიური მოსმენის, არგუმენტირებული მსჯელობისა და დამარწმუნებელი კომუნიკაციის ტექნიკები. ასევე, ყურადღება ეთმობა საჯარო გამოსვლის მომზადებასა და წარდგენას, საკომუნიკაციო სტრატეგიების შერჩევას, მედიისა და ციფრული პლატფორმების გამოყენებას. კურსი ორიენტირებულია სტუდენტისათვის ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და საჯარო გამოსვლის პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	I
საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია წარმოადგენს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფუნდამენტურ სასწავლო კურსს, რომელიც სტუდენტს აცნობს სახელმწიფოებისა და სამართლის განვითარების ძირითად ეტაპებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და ცივილიზაციაში.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	I

	კურსის ფარგლებში შეისწავლება ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური სამყაროს, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის სახელმწიფოებისა და სამართლის განვითარების თავისებურებები, სამართლის წყაროები, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესები, აგრეთვე სხვადასხვა კულტურული, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორის გავლენა სამართლის განვითარებაზე. სასწავლო კურსი სტუდენტს უქმნის საფუძველს ისტორიულ-სამართლებრივი მოვლენების, ინსტიტუტებისა და სამართლის წყაროების ანალიზისა და შედარებისთვის, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის განვითარების ტენდენციების გააზრებისათვის და თანამედროვე სამართლის ისტორიული საფუძვლების შეფასებისათვის.			
რომის სამართლის საფუძვლები	სასწავლო კურსი, "რომის სამართლის საფუძვლები" გათვალისწინებულია, კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის. აღნიშნული საგანი, წარმოადგენს კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საბაზისო მოდულის შემადგენელ დისციპლინას. კურსის მეშვეობით, სტუდენტი აითვისებს რომის სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და პრინციპებს; შეიძენს თეორიულ ცოდნას რომის სამართლის სისტემის, რომის სამართლის წყაროების, რომის საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თავისებურებათა შესახებ.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	II
B2.0 ზოგადი ინგლისური ენა	მოცემული სალექციო კურსი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე (B2 დონე), რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს მეტყველების, მოსმენის,	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I/III

	წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის ინგლისური ენის B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სრულად ათვისების წინაპირობას. სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია იურიდიული თემატიკის აკადემიური საკითხავი მასალა.			
B2 ზოგადი ინგლისური ენა	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური და გრამატიკული მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები; ისაუბროს და წეროს B2 დონის ადეკვატური ენობრივი რესურსების გამოყენებით. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო და წერილობით უნარ-ჩვევებს და ასრულებს ინგლისური ენის B2 დონის შესწავლას. მოცემული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო), რასაც საჭიროების შემთხვევაში დაადასტურებს მოცემული დონის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებითა და სათანადო სერთიფიკატის აღებით. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი ენას გამოიყენებს როგორც ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში, ასევე აკადემიური და სამსახურეობრივი მიზნებით. სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო Keynote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk),	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II/IV

	ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა. სასწავლო კურსში ასევე შეტანილია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებიდან აღებული აუთენტური ტექსტები სამართლის სხვადასხვა სფეროდან.			
იურიდიული ინგლისური	სასწავლო კურსი წარმოადგენს იურიდიული ინგლისურის პრინციპებისა და პრაქტიკაში გამოყენების ყოვლისმომცველ შესავალს, რომელიც ამზადებს სტუდენტებს ეფექტურად და ზუსტად აწარმოონ კომუნიკაცია პროფესიულ იურიდიულ გარემოში. სასწავლო კურსი ავითარებს ძირითად იურიდიულ ლექსიკას, აუმჯობესებს ავთენტური იურიდიული ტექსტების გააზრების უნარს და აუმჯობესებს როგორც ზეპირ, ისე წერილობით საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა იურიდიულ კონტექსტში. სასწავლო გეგმა მოიცავს ძირითად ტერმინოლოგიასა და იურიდიულ კონცეფციებს სამართლის ძირითადი სფეროებიდან, მათ შორისაა: სახელშეკრულებო სამართალი, დელიქტური სამართალი, საკორპორაციო სამართალი, შრომის სამართალი, საბანკო სამართალი, ბიზნეს სამართალი, სისხლის სამართალი და საერთაშორისო სამართალი. კურსი დიდ აქცენტს აკეთებს პრაქტიკული ენის გამოყენებაზე იურიდიულ გარემოში. სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ რეალურ პრეცედენტებსა და ფიქციურ კაზუსებზე დაფუძნებულ კომპლექსურ სავარჯიშოებში, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებისა და იურიდიული მსჯელობის დახვეწას. სტუდენტები შეასრულებენ იურიდიული წერასა და დოკუმენტების შედგენასთან დაკავშირებულ ამოცანებს, რომლებიც ასახავს რეალურ იურიდიულ სცენარებს. მონაწილეობას მიიღებენ ზეპირ აქტივობებში, როგორიცაა მოლაპარაკებების იმიტაცია და ადვოკატირება სასამართლოში,	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	V

	რათა გააძლიერონ თავდაჯერებულობა იურიდიულ სასაუბრო უნარებში. სტუდენტები ასევე გამოიკვლევენ და შეისწავლიან ლათინურ ფრაზებსა და იურიდიულ მაქსიმებს, რომლებიც ხშირად გვხვდება იურიდიულ ტექსტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, განსაკუთრებით საერთო სამართლის სისტემებში. იურიდიული სინტაქსი და სტილისტური კონვენციები გაძლიერებულია იურიდიულ წერაში სიცხადის, ფორმალურობისა და სიზუსტის გასაუმჯობესებლად. კურსის დასასრულს სტუდენტები შეძლებენ წარმოაჩინონ იურიდიული ინგლისური ენის მყარი ცოდნა სამართლის მრავალ სფეროში. შეძლებენ იურიდიული დოკუმენტების შედგენასა და ინტერპრეტაციას უფრო მეტი სიზუსტით. ეფექტურად გადმოსცემენ იურიდიულ არგუმენტებს როგორც წერილობით, ისე ზეპირ ფორმატში. სტუდენტებს ასევე ექნებათ ენობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო იურიდიულ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.			
ზოგადი ინგლისური C 1.0	ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის დასკვნითი ეტაპის (ც1 დონის) პირველ ნაწილს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის ენის ც1 დონეზე შესწავლისა და ოთხივე ენობრივი კომპეტენციის სრულყოფილად დაუფლების საფუძველს; კურსი სტუდენტებს აცნობს არა მხოლოდ ენას და ენობრივ ნორმებს არამედ მთლიან ევროპულ სოციალურ-კულტურული გარემოს. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსის ლოგიკური გაგრძელებაა და ამ და შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ საჭიროების შემთხვევაში აიღოს C	სავალებულო	5 ECTS კრედიტი	III

	1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო (CEFR)) დამადასტურებელი სერტიფიკატი და ინგლისური ენა გამოიყენოს ყოფითი, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის. სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო Keynote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური მასალა სამართლის თემებზე. კურსში კითხვის უნარების დასახვეწად და გასამყარებლად და აკადემიურ თემებზე საუბრის ხელოვნების დასაუფლებლად შეტანილია სხვადასხვა თემატიკის (მათ შორის სამართლის სფერო) აკადემიური ტექსტი.			
ზოგადი ინგლისური C 1	ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის შესწავლის დასკვნით ეტაპს, რომლის წარმატების გავლის შემდეგაც სტუდენტს გააჩნია ენის ოთხივე კომპეტენციის სრულყოფილი ცოდნა ც1 დონეზე: მოსმენა, კითხვა, წერა და საუბარი. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას და ც1 დონის შესაბამისი კომპეტენციის სრულად დაუფლებას ოთხივე კომპონენტში (მოსმენა, კითხვა, საუბარი წერა). კურსი სტუდენტს აცნობს მთლიან ევროპულ სოციალურ-კულტურული გარემოს კონტექსტს. ამ სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ ინგლისური ენა გამოიყენოს აკადემიური მიზნებისა და პროფესიული წინსვლის მისაღწევად. სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო Keynote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV

	ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა. კურსში კითხვის უნარების დასახვეწად და გასამყარებლად და აკადემიურ თემებზე საუბრისა და კითხვის ხელოვნების დასაუფლებლად შეტანილია სხვადასხვა თემატიკის (ძირითადად სამართლის სფეროდან) აკადემიური, აუთენტური ტექსტი. ზეპირმეტყველებისა და ინგლისურ ენაზე არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობის უნარის ჩამოსაყალიბებლად შეტანილია ინდივიდუალური პრეზენტაციები, რომლების ირგვლივაც იმართება გუნდური დებატები.			
შესავალი სამართალმცოდნეობაში	სასწავლო კურსი „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ სტუდენტს აცნობს სამართლის სისტემის ძირითად ცნებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს. კურსის ფარგლებში განიხილება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, სამართლის ფუნქციები, სამართლის წყაროები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, სამართლებრივი ურთიერთობები, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა, სამართლის ნორმის განმარტებისა და შეფარდების საფუძვლები, აგრეთვე თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ძირითადი თავისებურებები. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს ჩამოუყალიბოს სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი ტერმინოლოგიის გამოყენებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზის საწყისი უნარები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
ქართული სამართლის ისტორია	სასწავლო კურსი „ქართული სამართლის ისტორია“ მოიცავს ქართული სამართლის წარმოშობის, განვითარების და ისტორიული ფორმირების ძირითად ეტაპებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, საერო და საეკლესიო სამართლის	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I

	ძეგლებს, აგრეთვე ძველი ქართული სამართლის ძირითად დარგებსა და ინსტიტუტებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული სახელმწიფო მოწყობისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების ძირითად თავისებურებებს. კურსი ხელს უწყობს ისტორიულ-სამართლებრივი წყაროების ანალიზის, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებისა და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის უნარის განვითარებას.			
საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ სტუდენტს აძლევს საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის, კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების, ადამიანის უფლებების დაცვისა და საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმების შესახებ სისტემურ ცოდნას. კურსის ფარგლებში განიხილება საქართველოს კონსტიტუცია, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის, სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. კურსი ხელს უწყობს სტუდენტში კონსტიტუციურ-სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების ანალიზის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გამოყენებისა და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის უნარის განვითარებას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	სასწავლო კურსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ სტუდენტს აძლევს ადამიანის უფლებათა სამართლის ძირითადი პრინციპების, ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვის, უფლებათა შეზღუდვის საფუძვლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების შესახებ სისტემურ ცოდნას. კურსის ფარგლებში განიხილება ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი დაცული სფერო, უფლებათა	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

	შეზღუდვისა და უფლებათა შორის კოლიზიის გადაწყვეტის თავისებურებები, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კურსი ხელს უწყობს სტუდენტში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების ანალიზისა და არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობის უნარის განვითარებას.			
ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს ადმინისტრაციული სამართლის ძირითად ცნებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს. კურსი მოიცავს საჯარო მმართველობის ორგანიზების სამართლებრივ საფუძვლებს, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, ინფორმაციის თავისუფლებას, ადმინისტრაციულ წარმოებას, ადმინისტრაციულ საჩივარსა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხებს. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ადმინისტრაციული სამართლის მარეგულირებელ ძირითად ნორმებსა და სამართლებრივ მექანიზმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებსა და ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკულ გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების, ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და საჯარო მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფის მექანიზმების გააზრებას. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საკითხების ანალიზის, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენების, ადმინისტრაციული დოკუმენტების მომზადებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	სასწავლო კურსი მოიცავს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსის, მნიშვნელობისა და ფუნქციების, საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებისა და ფორმების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსის, სტრუქტურისა და უფლებამოსილებების, ასევე საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპების, მონაწილეების, ეტაპების და საპროცესო მექანიზმების შესწავლას. კურსის ფარგლებში განიხილება კონსტიტუციური სარჩელი, კონსტიტუციური წარდგინება, სასამართლოს აქტები, განსხვავებული და თანხვედრი აზრი, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და მისი როლი კონსტიტუციის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვის პროცესში.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III
ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების არსს, ასევე საჯარო სამსახურში მიღების, საქმიანობის, უფლებამოსილებებისა და გათავისუფლების წესებს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებსა და იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურება. სტუდენტები გაეცნობიან ლიცენზიებისა და ნებართვების სამართლებრივ საფუძვლებს, გაცემის წესებსა და სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმებს. საჯარო შესყიდვების რეგულირებას — მათ შორის დაგეგმვის, კონკურენციისა და კონტროლის საკითხებს. სამეწარმეო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის პროცედურები და მეწარმეთა უფლებების დაცვის საშუალებები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III
ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	სასწავლო კურსი ადმინისტრაციული სამართალწარმოების საფუძვლებისა და პროცედურების სიღრმისეულ შესწავლას ემსახურება. სტუდენტები გაეცნობიან ადმინისტრაციული პროცესის ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, გაეცნობიან	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	VI

	იმ წესებსა და მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც განიხილება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები სასამართლოში. დეტალურად იქნება განხილული მხარეების, მესამე პირების და სასამართლოს მეგობრის სტატუსი, მტკიცებულებების წარდგენისა და შეფასების წესი, პროცესის ხარჯების რეგულირება, აგრეთვე ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ეტაპები პირველი ინსტანციის სასამართლოში, განმწესრიგებელი სხდომის მნიშვნელობა, სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შეფასების კრიტერიუმები, სარჩელის სახეები და მათი გამოყენების შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპეციალური კატეგორიის ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო ორგანოების, კომერციული ბანკების, ფსიქიატრიული კლინიკების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ადმინისტრაციული სუბიექტების ქმედებების კონტროლთან. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, უცხოელთა გაძევება, თავშესაფრის თხოვნის განხილვა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში საქმიანობის შეჩერება და სხვა. თითოეული თეორიული საკითხი განხილული იქნება საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით, რათა სტუდენტებმა უკეთ გააცნობიერონ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების და მექანიზმების პრაქტიკული მნიშვნელობა. კურსი ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაზე, ასევე ადმინისტრაციული პროცესის პრაქტიკული თავისებურებების გააზრებასა და გამოყენებაზე.			
საერთაშორისო საჯარო სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, საერთაშორისო სამართლისა და	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV

	შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის საკითხებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროების, სუბიექტების სახეებს. იგი განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო სამართლებრივ მექნიზმებს, საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ძალის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევების საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს, შეიარაღებული თავდასხმის ახალ ფორმას, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებსა და საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების საშუალებებს.			
ევროკავშირის სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, ცნებებსა და ნორმებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის სამართლის განვითარების ეტაპებს, ევროკავშირის ინსტიტუციურ სისტემას, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, ევროკავშირის სამართლის წყაროებს, მათი ინტერპრეტაციისა და აღსრულების საკითხებს. კურსის ფარგლებში განიხილება ევროკავშირის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს როლი და პრაქტიკა, ევროკავშირის შიდა ბაზრის საფუძვლები, მათ შორის საქონლის, მომსახურების, პირებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სამართლებრივი ასპექტები. ასევე, კურსი მოიცავს ევროკავშირის მოქალაქეობის ინსტიტუტს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მექანიზმებს.	სავალდებული	5 ECTS კრედიტი	V
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის მექანიზმები	სასწავლო კურსი „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის მექანიზმები“ მიზნად ისახავს სტუდენტისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების, საერთაშორისო სასამართლოებისა და მონიტორინგის ორგანოების ფუნქციონირების, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და სასამართლო პრაქტიკის გაცნობას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	VI

	კურსის ფარგლებში განიხილება გაეროსა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემები, ინდივიდუალური საჩივრის მექანიზმები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებები და საერთაშორისო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხები. კურსი ეფუძნება საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში მიღებულ წინარე ცოდნას და ორიენტირებულია საერთაშორისო მექანიზმების პრაქტიკულ გამოყენებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების ანალიზზე.			
შესავალი სამოქალაქო სამართალში	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითადი პრინციპების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი კატეგორიების შესწავლაზე. კურსი მოიცავს სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ უფლებაუნარიანობას, ქმედუნარიანობასა და დელიქტოუნარიანობას, სამოქალაქო სამართლის ობიექტებს, გარიგებებსა და მათ ბათილობას, წარმომადგენლობას, სამოქალაქო უფლებების განხორციელებას, ვადებსა და ხანდაზმულობის ინსტიტუტს. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის ანალიზისა და გადაწყვეტის ძირითად მეთოდებს, სამართლებრივი ნორმების პრაქტიკულ გამოყენებასა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძვლებს.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	I
სანივთო (ქონებრივი) სამართალი	სანივთო სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც არეგულირებს ქონებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და განსაზღვრავს ნივთზე უფლებების წარმოშობის, განხორციელებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს. სასწავლო კურსი მოიცავს სანივთო სამართლის ძირითად	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

	ინსტიტუტებს, მათ შორის საკუთრების უფლებას, მფლობელობას, საკუთრების შეძენის საშუალებებს, შეზღუდულ სანივთო უფლებებს (აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი), მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს (იპოთეკა და გირავნობა), სამეზობლო სამართალსა და საჯარო რეესტრის სამართლებრივ მნიშვნელობას. კურსის ფარგლებში განხილული იქნება სანივთო უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, სამართლებრივი ბუნება, სანივთო უფლებათა სისტემის თავისებურებები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვაში. სასწავლო კურსი ეფუძნება სანივთო კანონმდებლობის, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ერთობლივ ანალიზს და ორიენტირებულია სტუდენტისთვის სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობების შეფასების, კაზუსების გადაწყვეტისა და სამართლებრივი არგუმენტაციის უნარების განვითარებაზე..			
ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	სასწავლო კურსი მოიცავს ვალდებულებითი სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და ზოგად დებულებებს, რომლებიც ქმნის საფუძველს მთელი ვალდებულებითი სამართლისათვის. სტუდენტები გაეცნობიან ვალდებულების ცნებას, მიზნებსა და ელემენტებს, მისი წარმოშობის საფუძვლებს, კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებების ზოგად პრინციპებს, ასევე ვალდებულების შესრულებისა და შეწყვეტის შედეგებს. კურსი აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ კაზუსებს, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი ანალიზისა და გადაჭრის უნარის განვითარებას	სავალდებულო	5ECTS კრედიტი	III
სახელშეკრულებო სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს სახელშეკრულებო სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების სამართლებრივ რეგულირებას. კურსის ფარგლებში განიხილება	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

	ქონების საკუთრებაში გადაცემის, სარგებლობაში გადაცემის, მომსახურების, გადაზიდვის, დაზღვევის, თავდებობისა და სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების შინაარსი, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საფუძვლები. კურსი აერთიანებს თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ კაზუსებზე მუშაობას, რაც სტუდენტს უვითარებს სახელშეკრულებო-სამართლებრივი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის უნარს.			
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	სასწავლო კურსი „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ მოიცავს კანონით წარმოშობილი ვალდებულებების არსისა და სახეების შესწავლას. სტუდენტები გაეცნობიან უსაფუძვლო გამდიდრების ზოგად დებულებებსა და კლასიფიკაციას, სხვისი ვალის გადახდისა და შეცდომით ხარჯების შედეგებს, დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებას, ასევე დელიქტურ პასუხისმგებლობას, ზიანის ანაზღაურების წესებსა და პროპორციულობის პრინციპს. კურსი აერთიანებს თეორიულ ანალიზს და პრაქტიკულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების დამუშავებას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III
სამოქალაქო სამართლისპროცესი - I	სასწავლო კურსი მოიცავს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად ინსტიტუტებსა და პრინციპებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სამოქალაქო სამართალწარმოების სისტემას, სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებს, სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა სამართლებრივ სტატუსს, უწყებრივ ქვემდებარეობასა და განსჯადობას, საპროცესო ვადებს, მტკიცებასა და მტკიცებულებებს, სასამართლო წარმომადგენლობასა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ძირითად სამართლებრივ საფუძვლებს. კურსი ორიენტირებულია სტუდენტში სამოქალაქო პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების ანალიზის, შესაბამისი საპროცესო ნორმების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების, სამართლებრივი	სავალდებულო	5 - ECTS კრედიტი	IV

	არგუმენტაციისა და საპროცესო დოკუმენტების მომზადების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.			
სამოქალაქო სამართლის პროცესი - II	კურსი მოიცავს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე ნაწილის ძირითად ინსტიტუტებს და ეთმობა სასარჩელო წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილებების, დაუსწრებელი წარმოების, გამარტივებული და უდავო წარმოების, ასევე ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვის თავისებურებებს. კურსის ფარგლებში განიხილება სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცედურები პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოება, კერძო საჩივარი და საქმის წარმოების განახლება. კურსი ასევე მოიცავს სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, საპროცესო დოკუმენტების მომზადებასა და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, რაც სტუდენტს უვითარებს სამართლებრივი არგუმენტაციის, პროცესუალური აზროვნებისა და პრაქტიკული სამართალწარმოების უნარებს.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	V
საკორპორაციო სამართალი	სასწავლო კურსი ეხება თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ და პრაქტიკულ საკითხებს. ის ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ისე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. კურსში განხილულია სამეწარმეო საქმიანობის არსი, მეწარმე სუბიექტების დაფუძნება და რეგისტრაცია, მეწარმეთა სამართლებრივი ფორმები (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული და კომანდიტური საზოგადოებები, შპს, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი), ასევე კაპიტალის შევსებისა და შენარჩუნების, კორპორაციული მართვის, პასუხისმგებლობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხები.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	V
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, პრინციპებსა და სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებს. კურსის	სავალდებულო	5ECTS კრედიტი	V

	ფარგლებში განხილული იქნება ქორწინების სამართლებრივი საფუძვლები, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, შვილად აყვანა, მეურვეობა და მზრუნველობა, მშობლისა და შვილის ურთიერთობები, ალიმენტური ვალდებულებები, მემკვიდრეობის სამართლებრივი საფუძვლები, მემკვიდრეობა კანონითა და ანდერძით, სამკვიდროს მიღება, სამკვიდრო ქონების განაწილება და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები. სასწავლო კურსი ორიენტირებულია როგორც შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების თეორიულ შესწავლაზე, ისე პრაქტიკული სამართლებრივი პრობლემების ანალიზზე. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საოჯახო და მემკვიდრეობით-სამართლებრივი კაზუსების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების ძირითად მეთოდებს, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებასა და სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას.			
შრომის სამართალი	სასწავლო კურსი ეთმობა შრომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტების, პრინციპებისა და შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესწავლას. კურსის ფარგლებში განხილული იქნება შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, ცვლილებისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, შრომითი ხელშეკრულების სახეები და პირობები, დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულება, შრომის ანაზღაურება, შრომითი უფლებების დაცვა, სოციალური პარტნიორობა, შრომითი დავები და შრომის ინსპექციის საქმიანობა. ასევე, ყურადღება გამახვილდება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, საერთაშორისო შრომის სტანდარტებზე, მათ შორის ევროკავშირისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიდგომებზე. სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტში შრომითსამართლებრივი პრობლემების ანალიზის, შესაბამისი	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV

	სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციისა და პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების, სამართლებრივი არგუმენტაციის, სასამართლო პრაქტიკის შეფასებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ფორმულირების უნარის განვითარებაზე.			
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)“ მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითადი პრინციპების, ინსტიტუტებისა და ცნებების შესწავლას. კურსის ფარგლებში განიხილება დანაშაულის ცნება და შემადგენლობა, ბრალი, დანაშაულის სტადიები, თანამონაწილეობა, დანაშაულის გამომრიცხავი გარემოებები, სასჯელის სისტემა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. კურსი ორიენტირებულია სისხლისსამართლებრივი ნორმების განმარტებისა და პრაქტიკულ შემთხვევებში მათი გამოყენების უნარის განვითარებაზე. სწავლების პროცესში გამოიყენება კაზუსების ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის განხილვა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რაც სტუდენტს უვითარებს სამართლებრივი ანალიზისა და არგუმენტაციის უნარს.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	II
სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები)“ მოიცავს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ოჯახისა და არასრულწლოვნის, ასევე კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ძირითად საკითხებს. კურსის ფარგლებში განხილული იქნება შესაბამისი დანაშაულების შემადგენლობები, მათი კვალიფიკაციის საფუძვლები და სისხლისსამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, სასამართლო	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	III

	პრაქტიკის ანალიზსა და სამართლებრივი პრობლემების შეფასებას. კურსი სტუდენტს უვითარებს სისხლისსამართლებრივი კაზუსების ანალიზის, სამართლებრივი მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარს.			
სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები)	სისხლის სამართლის (დანაშაულის სხვა სახეები) სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აქტუალურ საკითხებს. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცოდნის საფუძველზე დახასიათებული იქნება კერძო ნაწილის II-ით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი ქმედების შემადგენლობები. ქმედების შემადგენლობები დახასიათებული იქნება დანაშაულის სამნიშნოვანი ცნების მიხედვით. სათანადო ყურადღება მიექცევა ძირითად, კვალიფიციურ და პრივილეგირებულ, ასევე მომიჯნავე შემადგენლობათა ურთიერთგანსხვავების საკითხს. სასწავლო კურსის შესწავლის დროს განხილული იქნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II საკვანძო საკითხები. დახასიათებული იქნება ეკონომიკური დანაშაულის ცნება და სახეები. სათანადო ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხილვას. დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ისევე, როგორც სხვა საკითხები, გადმოცემულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადმოცემულია მასში შემავალი თითოეული თავის მიხედვით. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ და დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მათში შემავალი თავებითა და მუხლებით სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გამოყენებადი თემების მიხედვით არის განმარტებული. საწავლო კურსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის (დანაშაულის სხვა სახეებისთვის) სისხლის სამართლის	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV

	მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი თემის (სსკ-ის 177-403 მუხლები) სათანადოდ შესწავლას.			
სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი I)	სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი I)“ სტუდენტს აცნობს სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და ინსტიტუტებს. კურსის ფარგლებში განიხილება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსი, გამოძიების საფუძვლები; საგამოძიებო მოქმედებები, მათი ცნება და კლასიფიკაცია; ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურებანი, მათ შორის, კომპიუტერულ მონაცემიდან ინფორმაციის გამოთხოვის საკითხები; ექსპეეტიზის ჩატარების საფუძველი და წესი; ნიმუშის აღება, სამედიცინო გამოკვლევა, ყადაღის დადება, მოყვანა, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, პასპორტის მოქმედების შეჩერება, ბრალდებულად ცნობა და დაკავება. საპროცესო ვადები, შუამდგომლობები და საჩივრები. კურსი ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის მიღებაზე, ისე პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, მათ შორის კაზუსის ანალიზის, სამართლებრივი არგუმენტაციისა და საპროცესო დოკუმენტების შედგენის მიმართულებით. ასევე, კურსი ხელს უწყობს პროფესიული ეთიკის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დამოუკიდებელი სამართლებრივი მსჯელობის უნარის განვითარებას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	IV
სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი II)	სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი II)“ აგრძელებს სისხლის სამართლის პროცესის პირველ ნაწილში მიღებული ცოდნის განვითარებას და ორიენტირებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკული ეტაპებისა და საპროცესო მექანიზმების შესწავლაზე. კურსის ფარგლებში განიხილება აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; მტკიცებულებები და მტკიცება;	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	V

	სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი; წინასასამართლო სხდომა, საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში, საპროცესო შეთანხმება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, აპელაცია, კასაცია და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საკითხები. კურსი ხელს უწყობს სტუდენტის მიერ საპროცესო ნორმების განმარტებისა და პრაქტიკაში გამოყენების, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, კაზუსის ანალიზის, მარტივი საპროცესო დოკუმენტების მომზადებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარების განვითარებას. იმიტირებული სასამართლო პროცესის მეშვეობით სტუდენტი პრაქტიკულ გარემოსთან მიახლოებულ ფორმატში ავითარებს სამართლებრივი არგუმენტაციის, საპროცესო წესების დაცვის, პროფესიული კომუნიკაციისა და ეთიკური ქცევის უნარებს.			
პროფესიული ეთიკა	სასწავლო კურსი მოიცავს პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, იურიდიული პროფესიების (ადვოკატის, პროკურორის, მოსამართლისა და ნოტარიუსის) ეთიკური ქცევის სტანდარტებს, პროფესიული თვითრეგულირების მექანიზმებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პროფესიული ეთიკის მარეგულირებელ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, პროფესიული ეთიკის კოდექსებს, შესაბამის ეთიკურ და დისციპლინურ პრაქტიკას, აგრეთვე პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას წარმოშობილ ეთიკურ და სამართლებრივ გამოწვევებს. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობის, კონფიდენციალურობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრაქტიკულ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება, ეთიკური დილემების ანალიზი, დისციპლინური	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	VI

	პრაქტიკის განხილვა და იმიტირებული დისციპლინური განხილვები, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განივითარონ პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში გამოყენების, სამართლებრივი ანალიზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარები.			
საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების, სამართლებრივი ანალიზის, არგუმენტაციისა და პრაქტიკული სამართლებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების განვითარებას. კურსი მოიცავს განცხადების, ადმინისტრაციული აქტის, ადმინისტრაციული საჩივრის, ადმინისტრაციული სარჩელის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტების პრაქტიკულ მომზადებას, სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და იმიტირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას.	სავალდებულო	5 ECTS კრედიტი	VI
კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	საწავლო კურსი „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი“ წარმოადგენს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს, რომლის მიზანია სტუდენტებში პრაქტიკული სამართლებრივი უნარების, პროფესიული სამართლებრივი აზროვნებისა და კერძო სამართლებრივი დავების პრაქტიკული მართვის კომპეტენციების განვითარება. კურსი დაფუძნებულია შემთხვევის (case-study) ანალიზზე, პრაქტიკულ წერით დავალებებზე, პროფესიულ დისკუსიებზე, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და სასამართლო/მედიაციის სიმულაციებზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზს, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, სამართლებრივი პოზიციის ფორმირებას, ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი რისკების	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	VI

	პრაქტიკულ შეფასებას, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებასა და სასამართლოსათვის საქმის პრაქტიკულ მომზადებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიულ სამართლებრივ კომუნიკაციას, პრაქტიკული სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას, სამართლებრივი არგუმენტაციის ტექნიკასა და პროფესიული ეთიკის საკითხებს. სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე და ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების განვითარებას კერძო სამართლის სფეროში			
სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკული დავალებების, კაზუსების, საპროცესო დოკუმენტების, როლური თამაშებისა და იმიტირებული სასამართლო პროცესის მეშვეობით სწავლობენ სისხლისსამართლებრივი პრობლემების ანალიზს, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, საპროცესო დოკუმენტების მომზადებასა და ბრალდებისა და დაცვის სამართლებრივი პოზიციების ჩამოყალიბებას. კურსი მოიცავს დანაშაულის კვალიფიკაციის, აღკვეთის ღონისძიების, მტკიცებულებების შეფასების, მოწმისა და ექსპერტის დაკითხვის, საპროცესო დოკუმენტების შედგენის, სასამართლო კომუნიკაციისა და სასამართლო განხილვის სტრატეგიის პრაქტიკულ საკითხებს. კურსის მნიშვნელოვანი კომპონენტია იმიტირებული სასამართლო პროცესი, რომლის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკაში იყენებენ მიღებულ ცოდნასა და უნარებს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	VI
	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს საინფორმაციო ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	VII

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამართლებრივი საკითხები	დაცვის, კიბერუსაფრთხოების, კიბერდანაშაულისა და ციფრული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ძირითად საკითხებს. კურსის ფარგლებში განიხილება ინფორმაციული უსაფრთხოების სამართლებრივი საფუძვლები, ხელოვნური ინტელექტის ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო, მონაცემთა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, კიბერსივრცის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება, კიბერშეტევებისა და კიბერდანაშაულის სამართლებრივი მახასიათებლები, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებისა და ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში წარმოშობილი სამართლებრივი და ეთიკური გამოწვევების ანალიზს, საერთაშორისო და ევროპული სამართლის უახლესი მიდგომების შეფასებას, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი წყაროების გამოყენებას. სასწავლო კურსი სტუდენტს უვითარებს ციფრულ გარემოში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასებისა და არგუმენტირებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარს.			
ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი	კურსი ეხება ადგილობრივი მმართველობის სამართლებრივი ბაზისის სისტემურ ანალიზს, ყურადღების გამახვილებით ინსტიტუციურ მოწყობაზე, კომპეტენციათა გადანაწილებაზე და მმართველობით მექანიზმებზე. სასწავლო პროცესი მოიცავს, როგორც საქართველოს სამართლებრივი მოდელის დეტალურ განხილვას, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული სტანდარტების, მათ შორის ქარტიის პრინციპების შეფასებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მუნიციპალიტეტების ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე, მათი ფინანსური მდგრადობის	არჩევითი	6 ECTS კრედიტი	V/VI

	სამართლებრივ საფუძვლებზე და მოქალაქეთა ჩართულობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.			
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	სასწავლო კურსი მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლებს, ადმინისტრაციული სახდელების სისტემას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებებს. კურსის ფარგლებში განიხილება ადმინისტრაციული იძულების ღონისძიებები, ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენცია, სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პრაქტიკული სამართლებრივი პრობლემების ანალიზსა და გადაწყვეტას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI
ნორმატიული ტექნიკა და სამართლებრივი აქტების მომზადება	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სამართალშემოქმედების, ნორმატიული ტექნიკისა და სამართლებრივი აქტების სისტემის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესწავლას. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედებისა და სისტემატიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს. კურსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლებრივი აქტების სტრუქტურას, რეკვიზიტებს, იურიდიული ტექნიკის წესებსა და სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პრაქტიკულ ასპექტებს. სტუდენტები შეისწავლიან სამართალშემოქმედების პროცესს, ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებას, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

	აქტების მომზადების თავისებურებებს, აგრეთვე სამართლებრივი აქტების კანონიერებისა და სისტემატიზაციის საკითხებს. სასწავლო კურსი აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და ორიენტირებულია სტუდენტებში სამართლებრივი აქტების ანალიზის, შეფასებისა და მომზადების, ასევე სამართლებრივი ტექნიკის წესების პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებაზე.			
ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს ბავშვის უფლებების საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და მექანიზმებს. კურსის ფარგლებში განიხილება ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია, მისი დამატებითი ოქმები, ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს, დისკრიმინაციის აკრძალვას, ბავშვის მონაწილეობის უფლებას, ძალადობისგან დაცვას, ბავშვზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებას, ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლებას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ციფრული გარემოსა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ უფლებებს. კურსი ხელს უწყობს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზის, საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის შეფასებისა და შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტების გამოყენების უნარის განვითარებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI
საერთაშორისო კერძო სამართალი	საერთაშორისო კერძო სამართალი არის კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინა, რომელსაც მრავალწახნაგოვანი, ინტერდისციპლინური ხასიათი და მაღალი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია. კურსის მსვლელობისას სტუდენტი აითვისებს „უცხოური ელემენტით“ დატვირთული კერძოსამართლებრივი დავის	სავალდებულო	5ECTS კრედიტი	V/VI

	საკოლიზიო და საპროცესოსამართლებრივი მოწესრიგების ფუნდამენტურ საკითხებს. საგნის დასრულების შემდგომ სტუდენტს ეცოდინება, როგორ განისაზღვრება კერძოსამართლებრივი დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და რა შემთხვევაში აქვთ საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავის განხილვის, უცხო ქვეყნის სასამართლოებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობის და აღსასრულებლად მიქცევის უფლებამოსილება. ამასთანავე, სტუდენტი გაეცნობა საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში მოქმედ, საკვანძო მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საგნის სწავლებისას გამოყენებული იქნება სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, შედარებითსამართლებრივი და ეკონომიკური ანალიზის მეთოდები.			
საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	სასწავლო კურსი სტუდენტს აცნობს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და ინსტიტუტებს. კურსის ფარგლებში განიხილება საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, მათი დადების, ძალაში შესვლის, შესრულების, განმარტების, ცვლილების, შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ 1969 წლის ვენის კონვენციისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ასევე, კურსი მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებში დათქმების ინსტიტუტს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების ანალიზს. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საერთაშორისო ხელშეკრულებების პრაქტიკული გამოყენების მექანიზმებს, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას და განივითარებენ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზის,	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

	სამართლებრივი არგუმენტაციისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარს.			
სამართლიანი სასამართლოს უფლება	სასწავლო კურსი „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შინაარსის, ძირითადი ელემენტებისა და პრაქტიკული განხორციელების მექანიზმების შესწავლას. კურსის ფარგლებში განიხილება სამართლიანი სასამართლოს უფლების ადგილი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში, სასამართლოს ხელმისაწვდომობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნა, მხარეთა თანასწორობა, შეჯიბრებითობის პრინციპი, დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ბრალდებულის საპროცესო უფლებები. კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს, სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტების ეროვნულ სამართალთან ურთიერთმიმართებასა და აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენების საკითხებს. სტუდენტები შეისწავლიან როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ძირითად გარანტიებს. სასწავლო კურსი ხელს უწყობს სტუდენტებში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების ანალიზის, სასამართლო პრაქტიკის გამოყენების, სამართლებრივი არგუმენტაციისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარის განვითარებას	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI
	სასწავლო კურსი მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, ინტელექტუალური	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვის საფუძვლებსა და მათი დაცვის მექანიზმებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, საპატენტო სამართალს, სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, დიზაინისა და სხვა სამრეწველო საკუთრების ობიექტების სამართლებრივ რეჟიმს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების წარმოშობის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და დაცვის წესებს, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემების ანალიზის, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციისა და პრაქტიკაში გამოყენების, სასამართლო პრაქტიკის შეფასებისა და დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების უნარის განვითარებაზე.			
ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა	სასწავლო კურსი, “ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა” გათვალისწინებულია, კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის. აღნიშნული საგანი, წარმოადგენს კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევითი მოდულის შემადგენელ დისციპლინას. კურსის მეშვეობით სტუდენტი აითვისებს და შეასწავლის სხვადასხვა სირთულის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების შედგენის მინიმალურ სტანდარტს და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების შედგენის თავისებურებებს. სასწავლო კურსის განმავლობაში, სტუდენტი აითვისებს სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებების სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებში ასახვის უნარ-ჩვევებს და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების სისტემურად ჩამოყალიბების მეთოდოლოგიას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

საბანკო სამართალი და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება	სასწავლო კურსი მოიცავს საბანკო სამართლის სისტემის, მისი წყაროებისა და პრინციპების შესწავლას. კურსი განიხილავს საქართველოს ეროვნული ბანკის კონსტიტუციურ მანდატსა და ზედამხედველობის ფუნქციებს, კომერციული ბანკების დაფუძნების, ლიცენზირებისა და მმართველობის სამართლებრივ საფუძვლებს, საბანკო ანგარიშებისა და ანგარიშსწორების ინსტრუმენტებს, ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობების ძირითად ფორმებს (კრედიტი, დეპოზიტი, გარანტია). ასევე ყურადღება გამახვილებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მექანიზმებზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და საერთაშორისო სტანდარტებზე (FATF, სანქციები). კურსი აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებას.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	I
დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები	კურსი მოიცავს სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების საბაზისო შესწავლას. კურსის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილდება მოლაპარაკებასა, მედიაციისა და არბიტრაჟზე, სტუდენტებს ასევე წარმოდგენა შეექმნებათ კონსილიაციაზე, როგორც დავის გადაწყვეტის პერსპექტიულ ალტერნატიულ საშუალებაზე. სტუდენტები პრაქტიკული სამუშაოებით დაეუფლებიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI
სანოტარო სამართალი	სასწავლო კურსი მოიცავს სანოტარო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, ნოტარიატის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, სანოტარო საქმისწარმოებისა და სანოტარო მოქმედებების განხორციელების წესებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სანოტარო სამართლის პრინციპებს, ნოტარიუსის	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

	სამართლებრივ სტატუსსა და უფლებამოსილებებს, სანოტარო აქტების სახეებს, სანოტარო დოკუმენტების დამოწმების წესებს, სანოტარო რეესტრისა და ელექტრონული სანოტარო სისტემის ფუნქციონირების საფუძვლებს, სამემკვიდრეო საქმისწარმოებას, სანოტარო მედიაციის თავისებურებებს, საერთაშორისო სანოტარო ურთიერთობებსა და ნოტარიუსის პროფესიულ პასუხისმგებლობას. კურსი ორიენტირებულია სტუდენტში სანოტარო სამართალთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზის, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების, სანოტარო დოკუმენტების მომზადებისა და სამართლებრივი არგუმენტაციის უნარების განვითარებაზე.			
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	სასწავლო კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ წარმოადგენს ინტერდისციპლინურ კურსს, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ძირითად პრინციპებს, არასრულწლოვანთა უფლებრივ გარანტიებს, კანონთან კონფლიქტში მყოფი, აგრეთვე მოწმისა და დაზარალებულის სტატუსის მქონე არასრულწლოვნების მიმართ დადგენილ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. კურსის ფარგლებში განიხილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი მექანიზმები, აღდგენითი მართლმსაჯულების და დანაშაულის პრევენციის საკითხები, საერთაშორისო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კურსი აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და სტუდენტს უვითარებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სამართლებრივი ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარჩვევები	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსის, დანიშნულებისა და პრაქტიკული	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

	მექანიზმების შესწავლას. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ტექნიკას, შესავალი და დასკვნითი სიტყვების მომზადების სპეციფიკას, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის ტაქტიკასა და სასამართლო რიტორიკის ძირითად ასპექტებს. კურსი ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის მიღებაზე, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და მოიცავს იმიტირებული სასამართლო პროცესების, კაზუსების, დისკუსიებისა და პრაქტიკული დავალებების შესრულებას. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესში სამართლებრივი პოზიციის არგუმენტირებულად წარმოდგენა, შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი და პრაქტიკულ სიტუაციებში ეფექტიანად გამოყენება.			
გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები	წინამდებარე სასწავლო კურსი მოიცავს სისხლის სამართლის პროცესში, გამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის განხორიცელებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან და პრობლემურ ასპექტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საპროცესო კანონმდებლობის იმ ნაწილს, რომელიც არეგულირებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურებს. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ჩატარებული კვლევების, ანალიზების და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გაეცნობიან უახლესსაგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკას, სისხლის სისხლის საქმეთა გამოძიებოს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ძირითად თავისებურებებს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI

სასჯელის შეფარდება	სასწავლო კურსი მოიცავს სასჯელის დანიშვნისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესში სასამართლო პრაქტიკაში წარმოშობილი მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების შესწავლას. კურსის ფარგლებში განხილული იქნება სასჯელის მიზნები და პრინციპები, სასჯელის შეფარდების წესები, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, პირობითი მსჯავრი, სასჯელის ჩათვლა და შეცვლა, პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები, ამნისტია და შეწყალება. ასევე ყურადღება დაეთმობა არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურებებსა და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს. კურსი აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს და ეფუძნება სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი შემთხვევების ანალიზს.	არჩევითი	5 ECTS კრედიტი	V/VI